საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი სამოსამართლო გამოცდილების არმქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის *ნინო ხარიტონაშვილის* **---------- შეფასების შედეგი:**

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☑

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით		
კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**
სამართლის ნორმების ცოდნა	19	25
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	19	25
წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი	19	20
პროფესიული თვისებები	15	15
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	10	10
პროფესიული აქტივობა	5	5
ქულათა ჯამი	87	100

სახელი, გვარი:

თარიღი : 08.07.21

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ 2020 წლის 2 ნოემბრის №1/138 განკარგულებით დაწყებულ, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისთვის წარსადგენ კანდიდატთა შესარჩევ პროცედურაში მონაწილე კანდიდატის

ნინო ხარიტონაშვილის

შეფასება

8 ივლისი, 2021 წელი ქ. თბილისი

კანდიდატის - ნინო ხარიტონაშვილის მიერ **წარმოდგენილი დოკუმენტაციის** (ავტობიოგრაფია; სამართლებრივი დოკუმენტები; სერტიფიკატები) და **საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შესაბამისი დეპარტამენტის მიერ კანდიდატის შესახებ მოპოვებული ინფორმაციის** (რეკომენდატორთა და რესპონდენტთა (კანდიდატთან სამსახურებრივ ურთიერთობაში მყოფი კოლეგების შეფასებები) მიერ შევსებული კითხვარები; ინფორმაცია კანდიდატის პროფესიული აქტივობების შესახებ; ინფორმაცია კანდიდატის მიმართ დაწყებული დისციპლინური დევნის/ არსებული დისცილინური სახდელების შესახებ; საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაცია კანდიდატის ადმინისტრაციული სამართალდარღვევების შესახებ; ინფორმაცია კანდიდატის პოლიტიკური აქტივობების შესახებ; ინფორმაცია კანდიდატის რომელიმე საქმეში მხარედ მონაწილეობის შესახებ; კანდიდატის ქონებრივი მდგომარეობის ამსახველი დეკლარაცია; სს „კრედიტინფო საქართველოს" მონაცემები კანდიდატის დახურული და მიმდინარე კრედიტების თაობაზე; სსიპ შემოსავლების სამსახურის მონაცემები კანდიდატის შემოსავლის წყაროს, აქტივებისა და საგადასახადო ვალდებულებების შესახებ; ინფორმაცია - მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრიდან; უძრავი ქონების რეესტიდან; ინტერნეტსივრცეში არსებული ინფორმაცია კანდიდატის შესახებ; ინფორმაცია კანდიდატის სოციალურ ქსელში აქტივობების და საჯარო გამოსვლების შესახებ და ა.შ) **შესწავლისა** და **კანდიდატთან ჩატარებული საჯარო გასაუბრების შედეგების საფუძველზე,** „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34^1 მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად, განხორციელდა **კანდიდატის - ნინო ხარიტონაშვილის** (სამოსამართლო გამოცდილების არმქონე კანდიდატი) შეფასება „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 36^3 მუხლით და 35^1 მუხლის მე-15 პუნქტით გათვალისწინებული კეთილსინდისიერების კრიტერიუმისა და ამავე კანონის 35^1 მუხლის მე-16 პუნქტით გათვალისწინებული კომპეტენტურობის კრიტერიუმის შესაბამისად.

მოკლე ინფორმაცია კანდიდატის შესახებ

კანდიდატი: ნინო ხარიტონაშვილი

ასაკი: 40 წელი

განათლება: სამართლის დოქტორი (თსუ)

სპეციალობით მუშაობის გამოცდილება: 17 წელი

სამუშაო ადგილი: სსიპ „საქართველოს ნოტარიუსთა პალატა" - იურიდიული სამსახურის სპეციალისტი.

1. კანდიდატის ნინო ხარიტონაშვილის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით:

1.1 პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველო ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, აღნიშნული მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება პირის – როგორც მოქალაქის – პატიოსნება, კეთილსინდისიერება, მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის შესაბამისი შეგნება, სიმართლისმოყვარეობა, გამჭვირვალობა, კორექტულობა და სიზუსტე სამსახურებრივი თუ სხვა მოვალეობების, ფინანსური თუ სხვა ვალდებულებების შესრულებისას (მაგალითად, ქონებრივი დეკლარაციის შევსებისას, ბანკის ან სხვა ვალის, კომუნალური ან სხვა გადასახადის გადახდისას, საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისათვის ჯარიმის გადახდისას) და სხვა.

აღნიშნული მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას მხედველობაში იქნა მიღებული კანდიდატის შესახებ რეკომენდატორებისა და რესპონდენტთა მხრიდან შევსებული კითხვარები; კანდიდატის ქონებრივი დეკლარაცია; სსიპ შემოსავლების სამსახურის მონაცემები; ინფორმაცია სს „კრედიტინფო საქართველოდან"; საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაცია კანდიდატის ადმინისტრაციული სამართალდარღვევების შესახებ.

ზემოაღნიშნული მონაცემების საფუძველზე დგინდება, რომ რეკომენდატორები გამოარჩევენ კანდიდატის - გულისხმიერებას, სამართლიანობას, პასუხისმგებლობის გრძნობას, ანალიზისა და მოსაზრებათა მკაფიოდ ჩამოყალიბების უნარს, კრიტიკის მიმღეობას, სიახლეებზე სწრაფად რეაგირების უნარს, პრინციპულობას და ა.შ. რესპონდენტები მიიჩნევენ, რომ

კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების და კომპეტენტურობის კრიტერიუმს.

კანდიდატს ბიუჯეტის მიმართ დავალიანება არ ერიცხება. აქვს მიმდინარე სესხი და დადებითი საკრედიტო ისტორია, არის კეთილსინდისიერი გადამხდელი. 2017 წლის 8 დეკემბრიდან 2020 წლის 8 დეკემბრის ჩათვლით საგზაო მოძრაობის/პარკირების წესების დარღვევისათვის გამოუცხადდა გაფრთხილება/დაეკისრა ჯარიმა (13 შემთხვევა).

კანდიდატის შესახებ არსებული ინფორმაციის ფარგლებში, რაიმე ტიპის ნეგატიური ინფორმაცია, კანდიდატის - პატიოსნების, კეთილსინდისიერების ან სხვა მახასიათელების ნაწილში არ გამოვლენილა, ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მივიჩნევ, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს პიროვნული კეთილსინდისიერებისა და პროფესიული სინდისის მახასიათებელს.

1.2 დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობისა და სამართლიანობის მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება მისი პრინციპულობა, გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უნარი და ზეგავლენის მიმართ მედეგობა, პიროვნული სიმყარე, შეუვალობა და სხვა.

კანდიდატის შესახებ მოპოვებული ინფორმაციიდან (რეკომენდატორები; რესპონდენტები), მათ შორის, ინტერნეტსივრცეში მის შესახებ მოპოვებული ინფორმაციიდან გამომდინარე, რაიმე ფაქტი, რომელიც ეჭვქვეშ დააყენებდა კანდიდატის დამოუკიდებლობას, მიუკერძოებლობას და სამართლიანობას, არ გამოვლენილა. ამდენად, მივიჩნევ, რომ კანდიდატი - ნინო ხარიტონაშვილი სრულად აკმაყოფილებს დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობის და სამართლიანობის მახასიათებელს.

1.3 პიროვნული და პროფესიული ქცევა

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად, პიროვნული და პროფესიული ქცევის მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება მისი კორექტულობა კოლეგებთან და სხვა პირებთან ურთიერთობისას, თავდაჭერილობა, საკუთარი ემოციების მართვის უნარი, სასამართლოში წარმართული დავები, რომლებშიც იგი მონაწილეობდა, როგორც მხარე, მის წინააღმდეგ სისხლისსამართლებრივი ბრალდების არსებობა და სხვა.

კანდიდატის შესახებ მოპოვებული ინფორმაციიდან გამომდინარე, მათ შორის, რეკომენდატორთა/რესპონდენტთა მიერ შევსებული კითხვარების, დისციპლინური დევნის/სისხლისამართლებრივი ბრალდების არ არსებობის გათვალისწინებით, მივიჩნევ,

რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს პიროვნული და პროფესიული ქცევის მახასიათებელს.

1.4 პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-8 პუნქტის შესაბამისად, პიროვნული და პროფესიული რეპუტაციის მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება მისი საქმიანი და მორალური რეპუტაცია და ავტორიტეტი იურიდიულ წრეებსა და საზოგადოებაში, იურიდიულ წრეებთან ურთიერთობის ხასიათი და ხარისხი და სხვა.

კანდიდატის შესახებ მოპოვებული ინფორმაციის ფარგლებში (კითხვარები; ინტერნეტსივრცეში მის შესახებ არსებული ინფორმაცია), რაიმე სახის ნეგატიური ინფორმაცია კანდიდატის პიროვნული თუ პროფესიული რეპუტაციის შესახებ არ წარმოდგენილა. ამდენად, მივიჩნევ, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს ამ მახასიათებელსაც.

1.5 ფინანსური ვალდებულება

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 36[3] მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად, ფინანსური ვალდებულების მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება ინფორმაცია მისი შემოსავლის წყაროს, აქტივების, საკუთრებაში ან/და სარგებლობაში არსებული ქონების და ამ ქონებისა და შემოსავლის შესაბამისი ვალისა და ვალდებულების შესახებ. ფინანსური ვალდებულების შემოწმების მიზანია, შეფასდეს, არსებობს თუ არა საფუძველი კანდიდატის ქონებრივი ინტერესების მართლმსაჯულების ინტერესებთან დაპირისპირებისა, რამაც შესაძლოა საფრთხე შეუქმნას მოსამართლის მიუკერძოებლობას.

კანდიდატის ქონებრივი მდგომარეობის ამსახველი დეკლარაციის, სს „კრედიტინფო საქართველოს“ მონაცემების, სსიპ შემოსავლების სამსახურის მონაცემების, მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრიდან და უძრავი ქონების რეესტიდან არსებული ინფორმაციის გათვალისწინებით, მივიჩნევ, რომ კანდიდატის ფინანსური ვალდებულებები და კანდიდატის ქონებრივი ინტერესები წინააღმდეგობაში არ მოდის მართლმსაჯულების ინტერესებთან, შესაბამისად, კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს აღნიშნულ კრიტერიუმსაც.

დასკვნა კანდიდატის კეთილსინდისიერების შესახებ

გამომდინარე იქიდან, რომ კანდიდატმა - ნინო ხარიტონაშვილმა კეთილსინდისიერების კრიტერიუმის ხუთივე მახასიათებელი დააკმაყოფილა სრულად, მივიჩნევ, რომ კანდიდატი ნინო ხარიტონაშვილი - სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.

2. კანდიდატის ნინო ხარიტონაშვილის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით:

2.1 სამართლებრივი ნორმების ცოდნა

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-9 პუნქტის შესაბამისად, სამართლის ნორმების ცოდნის მახასიათებლით მოსამართლის შეფასებისას გაითვალისწინება მატერიალური და საპროცესო კანონმდებლობების, ადამიანის უფლებების სამართლის, მათ შორის, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის, ცოდნის დონე. აღნიშნული მახასიათებლით მოსამართლეობის კანდიდატის შესაფასებლად საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო უფლებამოსილია გამოითხოვოს მოსამართლეობის კანდიდატის მიერ ჩაბარებული მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდის შედეგები და იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს შეფასება.

აღნიშნული მახასიათებლის მიხედვით კანდიდატის შეფასებისას, მხედველობაში იქნა კანდიდატის მიერ საჯარო გასაუბრების პროცესში გამოვლენილი ცოდნა და მის მიერ წარმოდგენილი სამართლებრივი დოკუმენტების სამართლებრივი დასაბუთებულობა.

საჯარო გასაუბრების პროცესში, კანდიდატი ნინო ხარიტონაშვილი მის მიმართ არსებულ შეკითხვებს პასუხს სცემდა ძირითადად დასაბუთებულად და დამაჯერებლად.

კანდიდატმა იმსჯელა საარბიტრაჟო წარმოებაში მესამე პირის/დაინტერესებული მხარის მოწვევის/ჩაბმის თავისებურებებზე; მესამე პირების სამოქალაქო პროცესში ჩაბმის თავისებურებაზე, მატერიალური კანონმდებლობით განსაზღვრულ შემთხვევებში; წარმოადგინა მისი პოზიცია საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებისათვის უკუძალის მინიჭების შესაძლებლობასთან დაკავშირებით (კაზუსის ფორმით დასმულ კითხვასთან დაკავშირებით); იმსჯელა ამავე საკითხზე კითხვით ფორმატში დასმულ კაზუსთან დაკავშირებით (ასაკობრივი ცენზის შესახებ); ისაუბრა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლზე; არასრულად იმსჯელა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-13 მუხლზე; ასევე იმსჯელა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-2 მუხლზე; აბსოლუტურ უფლებებზე და მათ თავისებურებებზე; საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ დისკრიმინაციის შეფასების ტესტებსა და დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კანონზე.

კანდიდატს ვრცლად არ უმსჯელია მესამე პირების მიმართ უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესაძლებლობაზე, მათ შორის, ადმინისტრაციულ პროცესში; მხარის კონსტიტუციური სარჩელის არსებობის პირობებში საერთო სასამართლოების მიერ საქმის წარმოების შეჩერების შესაძლებლობაზე; ადმინისტრაციულ პროცესში ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების თავისებურებებთან დაკავშირებით არსებულ საგამონაკლისო შემთხვევაზე; კანდიდატმა არასრულყოფილად იმსჯელა

ღირსების არსსა და თავისებურებაზე, ადამიანის ღირსებისა და პიროვნების ღირსების განსხვავებაზე; კანდიდატმა ვერ იმსჯელა გარიგების კონვერსიის არსზე და მნიშვნელობაზე; ასევე არასრულყოფილად იმსჯელა ადმინისტრაციულ პროცესში სააპელაციო და საკასაციო ინსტანციის სასამართლოში მესამე პირის ჩაბმის თავისებურებაზე და სავალდებულო მიწვევის მესამე პირის მიერ გადაწყვეტილების გასაჩივრების შესაძლებლობაზე.

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ კანდიდატის მიერ წარმოდგენილ სტატიაში - „მესამე პირების ჩართვის მნიშვნელობა სამოქალაქო პროცესში" შესაბამისი სამართლებრივი ნორმები გამოყენებულია არსებითად სწორად და თანმიმდევრულად. გამოყენებულია როგორც შიდა კანონმდებლობა, ისე სამეცნიერო ლიტერატურა, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები და ა.შ.

ამდენად, კანდიდატის მიერ მიერ წარმოდგენილი სტატიის და იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ გარკვეულ სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით კანდიდატი შემოიფარგლა არასრულყოფილი პასუხებით, სამართლებრივი ნორმების ცოდნის მახასიათებელში, იგი უნდა შეფასდეს - 19 ქულით (76%).

2.2 სამართლებრივი დასაბუთების უნარისა და კომპეტენციის მახასიათებელი

<u>„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-10 პუნქტის შესაბამისად, სამართლებრივი დასაბუთების უნარისა და კომპეტენციის მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება კანდიდატის ანალიტიკური აზროვნების უნარი და პროფესიული გამოცდილება.</u>

საჯარო გასაუბრების პროცესში კანდიდატმა გამოავლინა სამართლებრივი დასაბუთებისა და ანალიტიკური აზროვნების კარგი უნარი, თუმცა 2.1. მახასიათებლის ნაწილში მითითებული გარემოებების გათვალისწინებით, საჯარო გასაუბრების პროცესში კანდიდატს რამდენიმე საკითხთან მიმართებით სიღრმისეული დასაბუთება და ანალიზი არ განუხორციელებია (2.1. მახასიათებელში წარმოდგენილი მაგალითები).

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნული მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას, კომპეტენციის კუთხით მხედველობაში უნდა იყოს მიღებული, კანდიდატის იურიდიულ სფეროში მუშაობის გამოცდილება - 17 წელი.

ამდენად, კანდიდატის სამუშაო გამოცდილების და საჯარო გასაუბრების შედეგების გათვალისწინებით, აღნიშნული მახასიათებლის მიხედვით კანდიდატი უნდა შეფასდეს - 19 ქულით (76%).

2.3. წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 351 მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად, წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარის შეფასებისას გაითვალისწინება წერილობით აზრის ნათლად და გასაგებად გადმოცემის, ლოგიკური მსჯელობისა და ანალიზის უნარი, გამართულად მეტყველების უნარი, სხვისი აზრის მოთმინებით მოსმენის უნარი, ღიაობა, განსხვავებული აზრის მოსმენის შესაძლებლობა და სხვა.

კანდიდატის მიერ წარმოდგენილი სტატიის - „მესამე პირების ჩართვის მნიშვნელობა სამოქალაქო პროცესში“, გაცნობის შედეგად, მივიჩნევ, რომ კანდიდატის მიერ შედგენილი სამართლებრივი დოკუმენტი გასაგები ენით არის ჩამოყალიბებული, შინაარსი ჩამოყალიბებულია სტრუქტურირებულად და ლოგიკური თანმიმდევრობით, კანდიდატის მიერ დაცულია აკადემიური წერის სტანდარტები.

ამასთან, საჯარო გასაუბრების შედეგად შესაძლებელია დავასკვნათ, რომ კანდიდატს გააჩნია კარგი ზეპირი კომუნიკაციის უნარი, მეტყველებს გამართულად. კანდიდატს გააჩნია საკუთარი აზრის გადმოცემისა და სხვისი აზრის მოთმინებით მოსმენის უნარი.

აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, აღნიშნული მახასიათებლის მიხედვით კანდიდატის შეფასება უნდა განხორციელდეს - 19 ქულით (95%).

2.4 პროფესიული თვისებები

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-12 პუნქტის შესაბამისად, პროფესიული თვისებების მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება მისი პუნქტუალურობა, შრომისმოყვარეობა, დამოუკიდებელი აზროვნების უნარი, სტრესულ სიტუაციაში მუშაობის უნარი, მიზანდასახულობა, მენეჯერული უნარ-ჩვევები და სხვა.

აღნიშნული მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული რეკომენდატორთა და რესპონდენტთა მოსაზრებები კანდიდატის პროფესიული თვისებების შესახებ, ასევე მნიშვნელოვანია ინფორმაცია კანდიდატის მიმართ დისციპლინური სახდელის ან დისციპლინური დევნის არ არსებობის შესახებ.

ამდენად, ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე აღნიშნული მახასიათებლის მიხედვით კანდიდატი უნდა შეფასდეს - 15 ქულით (100%).

2.5 აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-12 პუნქტის შესაბამისად, აკადემიური მიღწევებისა და პროფესიული წვრთნის მახასიათებლით მოსამართლეობის კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება სიახლეების მიმართ მისი

ღიაობა, თვითგანვითარების უნარი, საოფისე კულტურა, ახალი ცოდნისა და უნარების შეძენის ინტერესი, პროფესიული წვრთნის პროგრამებში მონაწილეობა, შეძენილი ცოდნისა და უნარების პრაქტიკულ საქმიანობაში გამოყენება და სხვა.

კანდიდატი არის სამართლის დოქტორი.

კანდიდატს ჩაბარებული აქვს ნოტარიუსთა საკვალიფიკაციო გამოცდა.

კანდიდატი არის თბილისის ღია უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი (ამავე უნივერსიტეტში სალექციო კურსის „შედარებითი სამოქალაქო პროცესის" ავტორი); საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის ასისტენტ პროფესორი; გურამ თავართქილაძის უნივერსიტეტის მოწვეული ლექტორი (სამოქალაქო პროცესში, საოჯახო და მემკვიდრეობის სამართალში, სანოტარო სამართალში; ასევე შემუშავებული აქვს მოდული საქართველოში შრომის სამართლის განვითარებაზე); მოწვეული ლექტორი სსიპ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის სასწავლო ცენტრში - „სამოქალაქო პროცესში".

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ კანდიდატის მითითებით იგი იყო არასამთავრობო ორგანიზაცია „Youth Centre of Civil Education", პროექტის "Street Law" - ტრენერი; პროექტი მიტარბი 360-ის ფარგლებში მოწვეული ლექტორი, ინტელექტუალური სამართლის მოკლე კურსში; მართლმსაჯულების დამოუკიდებლობისა და სამართლებრივი გაძლიერების პროექტის ფარგლებში, კლიენტთა კონსულტირების ტრენინგის ტრენერი; საერთაშორისო ორგანიზაცია „Save the Children" - მოწვეული ლექტორი, შრომის სამართალის კურსში და სხვა.

პროფესიული განვითარების მიზნით მონაწილეობა აქვს მიღებული შემდეგ ტრენინგ/სემინარებში, კერძოდ:

- ნოტარიატი - ნოტარიუსთა საერთაშორისო კავშირი, ნოტარიატის მსოფლიო უნივერსიტეტი - სასწ. კურსი, რომი, იტალია.

- საბაზისო კურსი მედიაციაში - საქართველოს მედიატორთა ასოციაციის და ედვარდსის მედიაციის აკადემიის ერთობლივი პროგრამა - ტრენინგი, თბილისი.

- ინტელექტუალური საკუთრების ზოგადი კურსი - WIPO-ს აკადემია, საქპატენტი - ტრენინგი, თბილისი.

- ადმინისტრაციული სამართლის ფორუმი - გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი, საქართველოს ადვოკატები დამოუკიდებელი პროფესიისათვის - ტრენინგი, თბილისი.

- საერთაშორისო კონფერენცია „საოჯახო საკუთრების რეჟიმები 2016/1103/1104 რეგულაციებთან მიმართებაში" - ტრენინგი, ბუდაპეშტი, უნგრეთი.

- საჯარო პოლიტიკის ანალიზი, პროექტი: „საჯარო მმართველობის რეფორმის ხელშეწყობა საქართველოში" - მთავრობის ადმინისტრაცია, UNDP - ტრენინგი, თბილისი.

- სიახლეები საჯარო სამსახურის გავლის წესში და სისტემაში გასატარებელი ცვლილებები - საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრი - ტრენინგი, თბილისი.

- დროის მართვა და გუნდური მუშაობა - სსიპ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის სასწავლო ცენტრი - ტრენინგი.

- ნოტარიუსთა საკვალიფიკაციო გამოცდა - საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრი - ტრენინგი, თბილისი.

- პრეზენტაციის უნარები და წერილობითი კომუნიკაცია - USAID - ტრენინგი, თბილისი.

- სამართლებრივი ჩარჩო საქართველოში - USAID - ტრენინგი, თბილისი.

ამდენად, ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, ამ მახასიათებლის მიხედვით კანდიდატი უნდა შეფასდეს - 10 ქულით (100%).

2.6 პროფესიული აქტივობა

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-14 პუნქტის შესაბამისად, პროფესიული აქტივობის მახასიათებლით მოსამართლეობის კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება მის მიერ ინიციატივის გამოჩენის უნარი, იდეებისა და წინადადებების წამოყენება, მისი სამეცნიერო და სხვა პუბლიკაციები, იურიდიული პროფესიისა და საზოგადოების წინაშე დამსახურება და სხვა.

კანდიდატი არის შემდეგი სამართლებრივი პუბლიკაციების ავტორი/თანაავტორი:

- მონოგრაფია - „მესამე პირების საპროცესო სამართალში (სასამართლო პრაქტიკის ანალიზი)", გამომცემლობა „ბონა-კაუზა"; 2020 წელი;

- მედიაცია ქართულ ნოტარიატში, დავის ალტერნატიული გადაწყვეტა, 2018-2019 წელი, სპეციალური გამოცემა, თსუ, დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ეროვნული ცენტრი;

- დასაქმებისათვის საჭირო შრომითი უნარები, მოდული შრომის სამართლის განვითარება, საერთაშორისო ორგანიზაცია „გადავარჩინოთ ბავშვები"; 2019 წელი;

- მესამე პირები როგორც სამოქალაქო სამართალწარმოების სუბიექტები სამართლის ჟურნალი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2017 ISSN 2233-3746 , N1, 2017;

- მესამე პირები საზოგადოებაში თანამედროვე თანამშრომლობისა და პარტნიორობის სამსახურში, მე-3 დისციპლინათა შორისი სამეცნიერო და პრაქტიკული კონფერენციის „თანამედროვე საზოგადოება და თანამშრომლობა" მასალები, ვარშავა, პოლონეთი, 01.07.2017.

- მესამე პირები საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში, სამეცნიერო პრაქტიკული გამოცემა საარბიტრაჟო და სამოქალაქო პროცესი, N2 (2017), PI NФC77-292166 consultant.ru, (თანაავტორი მაქსიმ გორელოვი), 2017 წელი;

- მესამე პირები საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში, სამოქალაქო სამართლისა და სამოქალაქო საქმისწარმოების აქტუალური პრობლემები, მე-5 სამეცნიერო პრაქტიკული კონფერენციის სტატიების კრებული, ჩელიაბინსკის სახელმწიფო უნივერსიტეტი, (თანაავტორი მაქსიმ გორელოვი) , 2017 წელი;

- მესამე პირები საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში, რუსეთის მართლმსაჯულების სახელმწიფო უნივერსიტეტის კაზანის ფილიალი, სამართლის გამოყენებისა და რეალიზაციის საშუალებათა სრულყოფა, რუსეთის მე-4 სამეცნიერო და პრაქტიკული კონფერენციის მასალები, სტატიათა კრებული, ISBN 978-5-9690-0366-8, (თანაავტორი მაქსიმ გორელოვი) , 2017 წელი;

- „სამართლისა და მორალის ქრისტიანული გაგება“, საერთაშორისო სამეცნიერო პრაქტიკული კონფერენცია „ეკონომიკა, ქრისტიანობა და სოციალური ინსტიტუტები“, კონფერენციის მასალები, მინსკი 28-29 იანვარი, 2017 წელი;

- „მესამე პირების მონაწილეობის პრობლემატიკა სამოქალაქო პროცესში“, სამეცნიერო პროცესების საერთაშორისო ნაკრები «European Cooperation», Vol 4, No 11 (2016), განთავსებულია ბმულზე: http://we.cmconsulting.pl/index.php/we/article/view/151/460; 2016 წელი;

- მესამე პირების ჩართვის მნიშვნელობა სამოქალაქო პროცესში, THE SIGNIFICANCE OF INTERVENTION IN THE CIVIL PROCEDURE, ჟურნალი სამართალი და მსოფლიო, გამოცემის შესრულების თარიღი 04. 2016, http://www.lawandworld.ge/uploads/magazine/magazine_N4.pdf;

- „სამოქალაქო პროცესში მონაწილე მესამე პირების ინსტიტუტის განვითარების ისტორიული მიმოხილვა“, საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი „ცხოვრება და კანონი“ N4(32), 2015 წელი;

- „კერძო საჩივარი“ სსიპ ,,ახალციხის ინსტიტუტი“; სამეცნიერო კონფერენცია, 2008 წელი.

2015 წლიდან კანდიდატი არის ნოტარიუსთა საერთაშორისო კავშირის ინდივიდუალური წევრი.

ამდენად, ამ მახასიათებლის მიხედვით კანდიდატი უნდა შეფასდეს - 5 ქულით (100%).

დასკვნა კანდიდატის - ნინო ხარიტონაშვილის კომპეტენტურობის შესახებ

კანდიდატის მიერ თითოეულ მახასიათებელში მიღებული შეფასებიდან გამომდინარე, კანდიდატი ნინო ხარიტონაშვილი უნდა შეფასდეს - 87 ქულით, კერძოდ:

1. სამართლებრივი ნორმების ცოდნა - 19 ქულა
2. სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია - 19 ქულა
3. წერის და ზეპირი კომუნიკაციის უნარი უნარი - 19 ქულა
4. პროფესიული თვისებები - 15 ქულა
5. აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა – 10 ქულა
6. პროფესიული აქტივობა - 5 ქულა

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი

ქეთევან ცინცაძე